15/04/2024

MES 1 24 0000429915

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 5 აპრილს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ელენე კაკაბაძე;
- მანანა მოისწრაფიშვილი;
- ნინო ვასაძე;
- გიორგი ევგენიძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
დირექტორი - ია ერაძე;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნათელა ჩაჩუა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრ, ტიტე ბოლქვაძეს, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA- სთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 18 მარტს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის

განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტი განახორციელა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 12 თებერვალს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრების, მატერიალური რესურსის და პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მიზნით აპილოტებს ელექტრონულ სისტემას „ჩემი -SBA“, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება მიიღოს სრული ინფორმაცია მის აკადემიურ მოსწრებაზე, დასწრებაზე და შეფასებაზე. აღნიშნული განპირობებულია ინტეგრირებული პროგრამების დანერგვით, ვინაიდან მშობლების ჩართულობა, არასრულწლოვანი სტუდენტების სასწავლო პროცესში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით მხარდაჭერილი იქნას. საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისა და პროფესიულ მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფს კოორდინატორს, რომელიც კოორდინირებას უწევს პროფესიული პროგრამის წარმართვის ადმინისტრირებას. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვამ უზრუნველყო პროფესიულ სტუდენტთა გადინების შემცირება.

ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად ჩაასწორა ცხრილი,, კერძოდ, ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) ნაცვლად 105-სა უნდა ეწეროს 103 პროფესიული სტუდენტი, რადგან 2024 წლის 18 მარტის მდგომარეობით, აღნიშულ პროგრამაზე აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 103-ს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები, კერძოდ, კოლეჯში იყო 2A და 2 B გარემო (30-30 პროფესიული სტუდენტი) და პროგრამის ფარგლებში დაემატა 2A და 2B გარემო, აქედან A გარემოში შესაძლებელია განთავსდეს 30-30 პროფესიული სტუდენტი, ხოლო B გარემოში 15-15 სტუდენტი. “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის აკადემიის ბაზაზე, ეზოში მოწყობილია C სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა და მასალები და ასევე, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 5 პრაქტიკის ობიექტთან 150 სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის, რომელსაც დაემატა 3 პრაქტიკის ობიექტი დამატებით 90 სტუდენტის მისაღებად და დღეისათვის უზრუნველყოფილია ერთდროულად 240 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფა იმგვარად, რომ თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს ყველა ტიპის დაწესებულებაში. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტებია: შპს ,,საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა”, სს ,,გუდვილი”, შპს ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა”, შპს ,,პოლიმერი 1“, შპს ,,გრანდი’’, შპს „ვესტა“, შპს ,,ნი ესტეტიკ ჯორჯია", სსიპ კოლეჯი „მერმისი“.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ახორციელებდა 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს 17 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო ზოგად მოდულებს - 16. დღეის მდგომარეობით მათი რაოდენობა გაიზარდა და პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს დამატებით 3 მასწავლებელი. ჯამში მათი რაოდენობა არის 36, აქედან 20 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რა არგუმენტები წარმოადგინა დაწესებულებამ, იმისათვის, რომ ასე მნიშვნელოვნად გაეზარდა სტუდენტთა რაოდენობა.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას აქვს საკმარისი რესურსი 240 სტუდენტის უზრუნველსაყოფად, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. კოლეჯმა არსებულ 5 პრაქტიკის ობიექტს კიდევ 3 დაამატა. აღსანიშნავია, რომ კურსზე მიღებისას უამრავი მსურველი იყო, რომელთაც სურდათ ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამაზე და 120 ადგილი არასაკმარისი აღმოჩნდა, შესაბამისად კოლეჯმა გადაწყვიტა კვოტის გაზრდა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კომისიის მუშაობის დოკუმენტაცია, სადაც გამოიკვეთა, თუ რამდენი აპლიკანტის განაცხადი იყო შემოსული და რამდენი იყო ჯამში მსურველი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის დაზუსტების მიზნით მიმართა ექსპერტს კითხვით, გამოიკვლიეს თუ არა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

ექსპერტის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროფესია მოთხოვნადია და უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა საჭიროა, თითქმის ყველა დაწესებულებაში დასაქმების მაჩვენებელიც შესაბამისია. გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტებს დასაქმებაში და ამაში პრაქტიკის ობიექტიც ჩართულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ კოლეჯი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საქართველოში განახორციელა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის (ს/კ: 406037550) დანართით განსაზღვრულ "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 240-ით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 5 აპრილი.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრ, ტიტე ბოლქვაძეს, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA- სთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ვასაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტი შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში, მისამართი: (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22). მიმდინარე წლის 18 მარტს, "ლოგისტიკის“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა,

სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება აკადემიის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიეექტებთან. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის -SBA-ის დირექტორის 2024 წლის 25 მარტის # 00002865 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში ტექნიკური ხარვეზთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ გასწორებულ იქნა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტთა შეფასება არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ არ შეცვლილა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ლოგისტიკა“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიას დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის #47 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომლის მე-5 თავი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის-- საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით). ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 180 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო სხვა პროგრამის ფარგლებში, რომელშიც გამოყენებულია C1 სასწავლო გარემო, ქვოტა შეადგენს 280 პროფესიულ სტუდენტს. ლოგისტიკის პროგრამაზე, რომელზეც აკადემიას მოპოვებული აქვს 180 სტუდენტის ქვოტა, მიღება აღარ განხორციელდება და სწავლება განხორციელდება მილევად რეჟიმში. აღნიშნულიდან გამომდინარე, C1 სასწავლო გარემოს(ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია) თავისუფალი რესურსი 320 პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალებას იძლევა. აკადემია ახალი პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტის - ტვირთების ექსპედირება, ფარგლებში შექმნილ პროგრამაზე - ლოგისტიკა მიღებას გამოაცხადებს პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებულ ქვოტას გამოკლებული, სწავლის დაწყებამდე, მილევად პროგრამაზე არსებული აქტიური სტუდენტების რაოდენობის მიხედვით.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A და B სასწავლო გარემოები და აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური თუ ტექნიკური აღჭურვილობით. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება ქვემოთ მოყვანი 9 ლოგისტიკურ კომპანიასთან: შპს ევო ულუსკარარასი ნაქლიათ, შპს ილო ტრანსპორტი, , შპს სან ლოჯისტიკ, შპს „სარ გრუპ“, შპს გაკო ტერმინალი, შპს „3 მ ტრანს, შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD, სს ლელო, კაიროს ლოგისტიკ. ხსენებულ პრაქტიკის ობიექტებზე, მათი საქმიანობის გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული II, III და IV სწავლის შედეგების მიღწევა. ამასთან, ხელშეკრულებებით დადგენილი კვოტების მიხედვით, საქართველოს ბიზნეს აკადემიას პრაქტიკის გავლის მიზნით შეუძლია ერთდროულად მიავლინოს 225 სტუდენტი, რაც გაცილებით აღემატება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა საერთო რაოდენობას. C1 სასწავლო გარემო - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, აუდიტორია No117/119. ლაბორატორია აღჭურვილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობით და აღემატება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის მოთხოვნილ სარეკომენდაციო რესურსის ნუსხას ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტის ფარგლებში. ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 57 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგადი მოდულების 13 მასწავლებელი, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის ახალი მეთოდოლოგიით შემუშავებული, მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ როგორ მოხდა პროგრამის დაგეგმვა/შემუშავების პროცესი, ვინ იყო სამუშაო ჯგუფში ჩართული და რამდენად მონაწილეობდა ამ პროცესში დაწესებულება.

ექსპერტის განმარტებით, „ლოგისტიკის“ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრია ამ მიმართულებით და მასთან ერთად პროცესში ჩართული იყო ხარისხის სამსახური, პროფესიული მასწავლებლები, რომელთაც ასევე აქვთ უმაღლესი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. მისი თქმით, დაწესებულებასთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე პრაქტიკის ობიექტი, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებასა და შემუშავებაში, ასევე ჩართული იყო უშუალოდ ახალი პროგრამის ჩარჩოს შემუშავების პროცესშიც. აღნიშნულ პროგრამაში მათ მიერ გათვალისწინებულია თითოეული მოდულისთვის დათმობილი საათების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ვინაიდან არ იყო მითითებული სწავლის შედეგებში საათების რაოდენობა, როგორ მოხდა პროგრამაში მათი განაწილება.

ექსპერტის განცხადებით, შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების გამოცდილების არ ქონის მიუხედავად, დაწესებულება მზად არის პილოტირების პროცესში პროგრამის საათობრივ გადანაწილებაში შეიტანოს ცვლილებები საჭიროებიდან გამომდინარე, რაც წინასწარ ვერ იქნება გათვლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ლოგისტიკის“ პროგრამაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ძალიან ბევრი იყო, მაგალითად, „სატრანსპორტო საექსპედიციო საქმიანობის ხარისხის კონტროლის“ მოდული ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, კოოპერაციული სწავლებაა, რომელიც მიმდინარეობს კომპანიაში და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა დაახლოებით არის 88 საათი, რაც დაახლოებით მოდულზე გათვლილი საათების რაოდენობის 1/3 შეადგენს, რა შეიძლება გააკეთოს ამ დროში სტუდენტმა დამოუკიდებლად ასეთი ტიპის მოდულის შემთხვევაში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, მოდულის ათვისება, პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხორციელდება არა მხოლოდ პრაქტიკის ობიექტზე, არამედ თვითონ B გარემოშიც. მასალა, რომელიც იყო მოცემული კონკრეტულ მოდულებში და რომელიც შეეხება ტვირთის ექსპედირებას, მით უმეტეს, მისი ხარისხის უზრუნველყოფას, არის საკმაოდ მოცულობითი მისი ნაირსახეობიდან გამომდინარე, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ლოგიკურად მიიჩნია ბმა ამ დამოუკიდებელი საათების რაოდენობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სტუდენტს უწევს საკმაოდ დიდი რაოდენობით ინფორმაციის დაუფლება, თუ როგორ ხდება კონკრეტულ ტვირთებზე სხვადასხვა დოკუმენტაციის გაფორმება, თავიდან მოძიება, შემდეგ ამის მომზადება გასამგზავრებლად და ამ გამგზავრების კონტროლი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, ხომ არ არსებობდა რაიმე მექანიზმი სტუდენტის შესაფასებლად დამოუკიდებელი სამუშაო საათების ფარგლებში და ხომ არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის საშინაო დავალების შესრულება ამ დროში.

დარგის ექსპერტის განცხადებით, როგორც მოდულის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, სტუდენტს აქვს საშუალება, იმუშაოს ამ პროგრამაში სახლშიც, შესაბამისად დაამუშაოს ინფორმაცია და B გარემოში მასწავლებლის მიერ განსაზღვრული დავალების შესრულებისას წარმოაჩინოს დამოუკიდებელი საათების განმავლობაში მიღებული პრაქტიკული უნარები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვინაიდან ლოგისტიკის მიმართულება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, დაწესებულებამ დიდი ძალისხმევა გასწია აღნიშნული პროგრამის შესამუშავებლად და განსახორციელებლად, რადგან ამჟამად ორი მიღება იგეგმება. რაც შეეხება საათების გადანაწილების საკითხს, განაცხადის შევსებიდან პროგრამის შემუშავებამდე ყველა პროცესი იყო სრულიად ახალი. კოლეჯი აღნიშნული პროგრამის სტანდარტის შეცვლის დღიდან ცდილობდა მხარი დაეჭირა ამ სფეროს ინტეგრირებულ პროგრამებში ჩართვისათვის, რის გამოც საათების გადანაწილება გადახედილ იქნა. დაწესებულებას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ამ პროგრამის მიმართ,

ვინაიდან კოლეჯის გერმანელი პარტნიორები აღნიშნულ პროგრამას დიდი წარმატებით ახორციელებენ და ერთ-ერთი უმსხვილესი სადისტრიბუციო კომპანია „ედეკა“ მათი პარტნიორია, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში კი გამოიკვეთა, რომ საათების რაოდენობა გერმანულ პროგრამაში ბევრად აღემატებოდა კოლეჯისას. მისი თქმით, გადაიხედა პროგრამის საათების რაოდენობა და სამინისტროსთან შეთანხმებით, დამოუკიდებელი საათები გაიზარდა, ვინაიდან არ იყო საჭირო ამდენი საკონტაქტო საათი, რაც გაზიარებული იქნა დანარჩენ დაწესებულებებთან. აღსანიშნავია, რომ დარგის სპეციალისტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში და საბოლოო ჯამში დაიხვეწა საათების რაოდენობა, შესაბამისად დამოუკიდებელ საათებში ამჟამად უფრო მეტი დავალების დაძლევაა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის(ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 5 აპრილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	240
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	168
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	198
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153